ხელშეკრულება №3

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.დუშეთი, სოფ. ოძისი 3 თებერვალი 2020 წ.

ერთისმხრივ, სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოძისის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ ღუნაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „სტ ოილ“ (მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ მირესაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საწვავის (50 ლიტრი დიზელი) (CPV კოდი 09100000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 122,50,00 (ასოცდაორი ლარი და 50 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი3. მიღება-ჩაბარებადაანგარიშსწორება

3.1.საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერმიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაოდღის განმავლობაში.

მუხლი4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს თანხის გადარიცხვიდან 10 დღის განმავლობაში.

მუხლი5. მხარეთაუფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის

ღირებულების ანაზღაურება ელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და ირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

მუხლი6. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი7. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 13 მარტის ჩათვლით.

მიმწოდებელი:

შპს „სტ ოილ“

მისამართი:
ტელეფონი: 551700570
საიდენტიფიკაციო კოდი: 205169538
მომსახურე ბანკი:-„საქართველოს ბანკი“
საბანკო კოდი:BAGAGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:
GE03BG0000000878515400

შემსყიდველი:

სსიპ სოფ. ოძისის საჯარო სკოლა

მისამართი: ქ. დუშეთი, სოფელი ოძისი
ტელეფონი: 577558002
საიდენტიფიკაციო კოდი: №229322275
საბანკო რეკვიზიტები:ლიბერთი ბანკის დუშეთის ფილიალი.
საბანკო კოდი:LBRTGE22
ანგარიშსწორებისანგარიში:
№GE96LB01211449389429000

დირექტორი

თეიმურაზ მირესაშვილი

დირექტორი

თამარ ღუნაშვილი